18/09/2025

MES 3 25 0001178978

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ეკატერინე წიფურია - სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;

თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის ,,თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარებისთვის" სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ნინო ბერიკაშვილი - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ,,არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის" ქვეპროგრამის მენეჯერი, საბჭოს მდივანი;

პეტრე ბაბილუა - შპს - „ევროპული სკოლის" მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

დავით მალაზონია- შპს - „თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღის"დირექტორი, საბჭოს წევრი;

მანანა თურქაძე - შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში" დირექტორთა საბჭოს წევრი და მთავარი მრჩეველი განათლების საკითხებში, საბჭოს წევრი;

ნონა ჩუბინიძე - სსიპ - ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლის დირექტორი;

დავით კახნიაშვილი - შპს - „თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის" დირექტორი, ა(ა)იპ - „არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის" თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;

ეკატერინე გურგენაშვილი - სსიპ - მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქ თელავის №4 საჯარო სკოლის მასწავლებელი, 2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის გამარჯვებული, საბჭოს წევრი;

ირმა ამირანაშვილი - შპს - ,,ქორალის" ხარისხის მართვის მენეჯერი, საბჭოს წევრი;

კახაბერ ჩაკვეტაძე - სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;

თეა სვიმონიშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისის №12 საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;

ქეთევან ნატროშვილი - შპს - ,,ქართული სასწავლებელი - თბილისის" დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

გვანცა მეტრეველი- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

ქეთი მუთიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს აზროვნების აკადემია მოზარდებისთვის:
პაატა პაპავა - სკოლის დირექტორი;
თეონა შუბლაძე - სკოლის პროგრამების ხელმძღვანელი;
სალომე ზარქუა - სკოლის იურისტი.
სსიპ - ქალაქ ბათუმის N26 საჯარო სკოლა:
თამარი გოგიშვილი - სკოლის დირექტორი
სსიპ - ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლა:
ირინე პაპიძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ახაშნის საჯარო სკოლა:
ნონა კობიაშვილი-ლიპარტაშვილი
სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქალაქ წნორის N3 საჯარო სკოლა:
ეკატერინე კოზაკიშვილი - სკოლის დირექტორი
სსიპ - ქალაქ გორის N12 საჯარო სკოლა:
ნოდარ იარღანაშვილი - სკოლის დირექტორი
სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლა:
მანანა მებონია - სკოლის დირექტორი
სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შუა ქვალონის საჯარო სკოლა:
ინგა ხვიჩია - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

შპს აზროვნების აკადემია მოზარდებისთვის:
ა)ნინო ბეგლარაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მაკა ნადარეიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნინო ბურჯალიანი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) დარეჯან თედორაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნინო ბლუაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) თამარ წულუკიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ხათუნა რუსიეშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მარიამ ჯვარიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ირაკლი ქობალია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) გიორგი ბერიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) მაკა ნატროშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ ბათუმის N26 საჯარო სკოლა:
ა) ქეთევან ბოტკოველი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) კახაბერ ფარცვანია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) მაია ფხაკაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ინგა ხავთასი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) მაია აბდელანი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნინო ბერიშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მაკა აფრიამაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

თ) ინგა დარსაველიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ხათუნა გერგაია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) გიორგი ბერიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო ჭანტურიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლა:
ა) ვერა ბენიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ანნა ბედენაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ელენე მიდელაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მინდია მაცაბერიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნათია კილაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) დავით კიკაბიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) გიორგი ჩაჩუა (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ილონა აკობია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ირმა შველიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ქეთევან ბორაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნატო ხაჭაპურიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ახაშნის საჯარო სკოლა:
ა) ირმა ხმელიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ანი მეხუზლა (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ფიქრია მუმლაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მაია მაძღარაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ელენე გაფრინდაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ხათუნა ნანობაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მარინე ჩიტაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მარიამი ღუბელაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მზია დადვანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) მარინა ანესაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო ჯოჯიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქალაქ წნორის N3 საჯარო სკოლა:
ა) ნათია ოზბეთელაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ხათუნა მაჭარაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ანა ტაბატაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) დარეჯან თედორაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) თამარ ჩალახეშაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) თეონა ჯაფარიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მარინე ჩიტაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მარინე ხუციშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მარინე ახალაია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) საბა დარსაველიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნათია კოხოძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ გორის N12 საჯარო სკოლა:

ა) თეა ელერდაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მეგი როსტიაშვილი-წიკლაური (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) შორენა გაგუა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) დავით ბოლქვაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნინო როსტომაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) თინათინ ლაზარაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) სოფიო ჯგერენაია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნონა გორგილაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ლელა მანგოშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) თამარ ზედგენიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლა:
ა) სოფიო ტარასაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ლია გრიგოლია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ირმა თოდიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მზია კიპაროიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნათია ქათამაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნათია კურტანიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) სოფიო თავაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნინო საღარაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ალექსანდრე ლაცაბიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შუა ქვალონის საჯარო სკოლა:
ა) ნინო ელბაქიძე(ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნანა ვარდმანიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ცირა მსხილაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მარგარიტა ჯიქია (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) მაკა გიორგბერიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ელიზა კუკავა (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) სოფიო ჯგერენაია(სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია. საბჭოს სხდომა 2025 წლის 05 სექტემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 14:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.შპს აზროვნების აკადემია მოზარდებისთვის-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2.სსიპ - ქალაქ ბათუმის N26 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3.სსიპ - ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4.სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ახაშნის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5.სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქალაქ წნორის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6.სსიპ - ქალაქ გორის N12 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7.სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8.სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შუა ქვალონის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
ექსპერტმა, თეა ელდერაშვილმა, განმარტა, რომ ტექნიკური ხარვეზის გამო, ვერ შეძლებდა სსიპ-ქალაქ გორის N12 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის მე-6 საკითხად განხილვას და მიმართა საბჭოს აღნიშნული განეხილათ მე-7 საკითხად.
საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:
1.შპს აზროვნების აკადემია მოზარდებისთვის-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2.სსიპ - ქალაქ ბათუმის N26 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3.სსიპ - ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4.სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ახაშნის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5.სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქალაქ წნორის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6.სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7.სსიპ - ქალაქ გორის N12 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8.სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შუა ქვალონის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

1. შპს აზროვნების აკადემია მოზარდებისთვის-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნინო ბეგლარაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ შპს აზროვნების აკადემია მოზარებისთვის-ში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 16 და 17 ივლისს. სკოლას სურდა განეხორციელებინა ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 165. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 165 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, ნინო ბეგლარაშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა); მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილებაზე და აღნიშნა, რომ სკოლა გეგმავდა ინტეგრირებული კურიკულუმებით სწავლებისა და ე.წ „კლასის ფსიქოლოგის“ პრაქტიკის დანერგვას. თითოეულ კლასში შემსვლელი მასწავლებლები გაერთიანდებოდნენ ჰორიზონტალურ ჯგუფებში და განახორციელებდნენ საერთო პროექტებს, რომლებიც დაფარავდა თითოეული საგნის სწავლის შედეგებს, ასევე, თითოეულ კლასს ეყოლებოდა ფსიქოლოგი.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო - მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო და ჰქონდა საგანმანათლებლო სერვისის განხორციელებისათვის საჭირო ყველა რესურსი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია, დაინტერესდა, საერთო სარგებლობის სივრცეების განთავსება შესაძლებელი იყო თუ არა სკოლის პირველ სართულზე.
ექსპერტმა, ნინო ბეგლარაშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლას შეეძლო ყველა საერთო სარგებლობის სივრცე მოეწყო პირველ სართულზე.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი, დასკვნაში ასახული გარემოებიდან გამომდინარე, დაინტერესდა ინტეგრირებული კურიკულუმები ხომ არ იწვევდა კვირეული საათების გაზრდას კონკრეტულ კლასებში. ასევე, დაინტერესდა, სკოლის ფსიქოლოგი ასრულებდა თუ არა როგორც კლასის დამრიგებლის, ასევე ზოგადად სკოლის ფსიქოლოგის ფუნქციასაც.
ექსპერტის, ნინო ბეგლარაშვილის თქმით, სკოლას კალენდარში ჰქონდა გადანაწილებული კონკრეტული დღეები და ინტეგრირებული კურიკულუმები არ იწვევდა საათობრივი ბადის ცვლილებას. ფსიქოლოგთან დაკავშირებით, მან განმარტა, რომ ფსიქოლოგს ევალებოდა მოსწავლეზე ზრუნვა ფსიქო-ემოციური განვითარების კუთხით.
საბჭოს წევრი, მანანა თურქაძე, დაინტერესდა, როგორი იყო უცხო ენის კურიკულუმები, ასევე, რამდენი კლასი ჰყავდა სკოლას.
სკოლის დირექტორმა, პაატა პაპავამ, აღნიშნა, რომ სკოლაში არ იყო დამრიგებლის სტატუსი, კლასის ფსიქოლოგი ითავსებდა ფსიქოლოგისა და ტუტორის როლს, თუმცა, სკოლას ცალკე კიდევ ჰყავდა ფსიქოლოგი.

სკოლის პროგრამების ხელმძღვანელმა, თეონა შუბლაძემ, აღნიშნა, რომ პროგრამა სრულად შესაბამისობაში იყო მე-3 თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, ინგლისური ენის კუთხით კი სამომავლოდ აპირებდნენ თანამშრომლობას English Book-თან.
საბჭოს წევრი, ეკატერინე გურგენაშვილი დაინტერესდა, რა იგულისხმებოდა ექსპერტის ჩანაწერში, რომ სკოლას ესაჭიროებოდა გარემოს სრული ადაპტაცია.
ექსპერტმა, ნინო ბეგლარაშვილმა, აღნიშნა, რომ სართულებზე გადაადგილების უზრუნველყოფა არ იყო შესაძლებელი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს აზროვნების აკადემია მოზარებისთვის-ის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 165 - ით განსაზღვრის საკითხი.

სკოლის იურისტმა, სალომე ზარქუამ, საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, გამომდინარე იქიდან, რომ სასწავლო პროცესი იწყებოდა 2025 წლის 15 სექტემბერს, საბჭოს წევრების მიერ მიღებული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულიყო 2025 წლის 05 სექტემბერი.
საბჭომ გაიზიარა აღნიშნული შუამდგომლობა.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 14:23
დასრულების დრო - 14:28

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-11 პუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს აზროვნების აკადემია მოზარებისთვის-ს (ს/კ: 405408893) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 165 - ით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 05 სექტემბერი.
დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1		დაწყებითი	ქართული	

	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			ქალაქი თბილისი, ბაგები, ზურაბ საკანდელიძის ქუჩა N9

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2025 წლის დეკემბერში 1.1 და 2.1 კომპონენტებთან მიმართებით სკოლის სახელწოდებაში სკოლის სტატუსის მეტად გამოკვეთის და უცხოურ ენაში ძირითად სახელმძღვანელოდ იმ სახელმძღვანელოს არჩევის, რომელიც უფრო მეტად ერგება სკოლის მიერ შერჩეული თემებით სწავლებას, ხოლო 2027 წლის სექტემბერში ადაპტირებული გარემოს მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

2. სსიპ - ქალაქ ბათუმის N26 საჯარო სკოლი სავტორიზაციის საკითხის განხილვა

ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ ბათუმის N26 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 02 და 03 ივლისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 1230. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 1230 მოსწავლისთვის. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის 1230-ით განსაზღვრას ეთანხმებოდა მხოლოდ ორი ცვლის პირობებში.
ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაცია და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტის თქმით, სკოლის ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა ინკლუზიური განათლების ცენტრი, რომლის მიზნასაც წარმოადგენდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე

მოსწავლეთა ინტეგრაციის, სოციალიზაციისა და დამოუკიდებლობის ხარისხის გაუმჯობესება. ინკლუზიური განათლების სივრცე სრულად რეაბილიტირებული და აღჭურვილი იყო საჭირო ტექნიკით, რესურსებითა და სპეციალურად შერჩეული ავეჯით.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო - მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო და სკოლას ჰქონდა საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო რესურსი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრი, კახაბერ ჩაკვეტაძე, დაინტერესდა, ინკლუზიური განათლების ცენტრი მხოლოდ აღნიშნული სკოლის მოსწავლეებს ემსახურებოდა თუ ხელმისაწვდომი იყო აჭარის რეგიონის სხვა სკოლებისთვისაც.
სკოლის დირექტორმა, თამარ გოგიშვილმა, აღნიშნა, რომ ცენტრი ემსახურებოდა არა მხოლოდ სკოლის მოსწავლეებს, არამედ სკოლა დღის მეორე ნახევარში იწვევდა სხვა სკოლების მოსწავლეებსაც. მისი თქმით, ნებისმიერ მოსწავლეს შეეძლო ცენტრით სარგებლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ბათუმის N26 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1230- ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 14:36
დასრულების დრო - 14:41

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ ბათუმის N26 საჯარო სკოლას (ს/კ: 248385974) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1230 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)

1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი ბათუმი, კახაბერის ქუჩა N1
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი ბათუმი, კახაბერის ქუჩა N
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი ბათუმი, კახაბერის ქუჩა N1

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის სექტემბერში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში ამწოვი კარადის მოწყობის, ხოლო, 2027 წლის სექტემბერში შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

3. სსიპ - ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ვერა ბენიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 19 და 20 ივნისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 750. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 750 მოსწავლისთვის. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის 750-ით განსაზღვრას ეთანხმებოდა მხოლოდ ორი ცვლის პირობებში.
ექსპერტმა, ვერა ბენიძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და

ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ სკოლისთვის დამახასიათებელი იყო მოსწავლეთა საჭიროებების მაქსიმალურად გათვალისწინება, ტოლერანტობა და მიმღებლობა. დაწესებულება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა არაფორმალური განათლებისა და ფორმალურ საგანმანათლებლო პროცესში ინტეგრირებული გაკვეთილების სისტემატიურ დაგეგმვას/განხორციელებას.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო - მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი და ადაპტირებული გარემო, ასევე, ჰქონდა რეკრეაციული სივრცე.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, დავით მალაზონიამ, აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემული რჩევებს უნდა ჰქონოდა რეკომენდაციის სახე, ვინაიდან მიაჩნდა, რომ გაწერილი იყო ისეთი საკითხები, რომელთა შესრულებაც სავალდებულო იყო სკოლისთვის. აქვე, მან მიმართა სკოლის წარმომადგენელს, დაეზუსტებინა, თუ გაითვალისწინეს ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შემდგომ მათ მიერ გაცემული რჩევები. ასევე, დაინტერესდა, ურთიერთმხარდაჭერის რა მექანიზმი ჰქონდა სკოლას.
სკოლის დირექტორმა, ირინე პაპიძემ, აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემულ რჩევებსა და რეკომენდაციებზე დაწყებული ჰქონდათ აქტიური მუშაობა, შეიკრიბნენ კათედრები და 2025-2026 სასწავლო წლისთვის ყველა მათგანი ექნებოდათ გათვალისწინებული. აქვე, აღნიშნა, რომ სკოლას მოპოვებული ჰქონდა ახალი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. ურთიერთმხარდაჭერასთან დაკავშირებით, განმარტა, რომ სკოლა წარმატებით თანამშრომლობდა სხვა საჯარო სკოლებთან, ასევე, გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმი ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიასთან და ხდებოდა გამოცდილების გაზიარება მასწავლებლებს შორის.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 750 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:05
დასრულების დრო - 15:13

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების

ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლას (ს/კ: 215606315) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 750 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი ჭიათურა, გოგებაშვილის ქუჩა N12
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი ჭიათურა, გოგებაშვილის ქუჩა N12
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი ჭიათურა, გოგებაშვილის ქუჩა N12

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2025 წლის სექტემბერში 3.5 კომპონენტთან მიმართებით, საჯარო რეესტრიდან განახლებული ამონაწერის, 3.4 კომპონენტთან მიმართებით, პერსონალური მონაცემების დაცვის წესის , ხოლო 2027 წლის სექტემბერში 3.4 კომპონენტთან მიმართებით, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

4. სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ახაშნის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ირმა ხმელიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ახაშნის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 05 და 06 ივნისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 450. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 450 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, ირმა ხმელიძემ, აღნიშნა, რომ დაწესებულება ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებდა ორ მისამართზე, გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ახაშენსა და სოფელ ზეგაანში, ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებდა სოფელ ახაშენში მდებარე შენობაში.

ექსპერტმა, ირმა ხმელიძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო, მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო მრავალი კლუბი და განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა არაფორმალური განათლების ხელშეწყობას. სკოლის მოსწავლეებს ჰქონდათ მრავალი წარმატება სხვადასხვა პროექტში, მათ შორის: „DATA BOOTCAMP”; “NASA Space Apps Challenge 2022” და სხვა.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო მასალა და აღნიშნა, რომ შენობას ესაჭიროებოდა რეაბილიტაცია, მიუხედავად ამისა, მისი თქმით, სკოლას ჰქონდა მრავალფეროვანი რესურსი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრი, ეკატერინე გურგენაშვილი, დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა სკოლას ადაპტირებული სველი წერტილი. ასევე, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული გარემოებიდან გამომდინარე, დაინტერესდა, რა ვითარება იყო ავარიულ შენობასთან დაკავშირებით.

ექსპერტის, ირმა ხმელიძის თქმით, სველი წერტილები მდებარეობდა სკოლის ეზოში, რაც უამინდობის პერიოდში წარმოადგენდა პრობლემას.

სკოლის დირექტორის, ნონა კობიაშვილი-ლიპარტაშვილის თქმით, მას შემდეგ, რაც მიიღეს სოფელ ახაშნის შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ უარყოფითი დასკვნა, მიმართეს შესაბამის პასუხისმგებელ ორგანოებს და ელოდებოდნენ შემდგომ ნაბიჯებს. მისი თქმით, შეძენილი ჰქონდათ საჭირო რესურსები და ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე (2025-2026) შემოღობილი ექნებოდათ სადემონტაჟო შენობა.

საბჭოს წევრმა, ნონა ჩუბინიძემ, აღნიშნა, რომ მათემატიკის ექსპერტის მხრიდან გაცემული რჩევა „სასურველია მათემატიკის კათედრამ შექმნას განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ყველა კლასისთვის თითოეულ თემაზე“ უნდა ყოფილიყო სავალდებულოდ შესასრულებელი რეკომენდაცია.

მათემატიკის საგნობრივმა ექსპერტმა, მზია დადვანმა, აღნიშნა, რომ სკოლას ძირითადად წარმოდგენილი ჰქონდა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები, თუმცა არა ყველა კლასისთვის და ამიტომ გაწერა რჩევის ნაწილში.
საბჭოს წევრმა, დავით მალაზონიამ, აღნიშნა, რომ კათედრების ანგარიშები იყო დასახვეწი, ვინაიდან არ ჩანდა რას ეხებოდა განსავითარებელი სტრატეგიები..

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ახაშნის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 450 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:29
დასრულების დრო - 15:33

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ახაშნის საჯარო სკოლას (ს/კ: 227752250) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 450 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი ახაშენი; გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზეგაანი
2		საბაზო	ქართული	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი ახაშენი

	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი ახაშენი

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2025 წლის სექტემბერში 3.4 კომპონენტთან მიმართებით, სადემონტაჟო შენობის შემოღობვის, 2026 წლის სექტემბერში 3.4 კომპონენტთან მიმართებით, სოფელ ზეგაანში მდებარე შენობაში სამედიცინო კაბინეტის მოწყობისა და ექიმის აყვანის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში ამწოვი კარადის მოწყობის, ხოლო 2027 წლის სექტემბერში, ავარიული შენობის დემონტაჟის, შენობების სრულად ადაპტირების, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დადებითი დასკვნის წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

5.სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქალაქ წნორის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნათია ოზბეთელაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქალაქ წნორის N3 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 23 და 24 ივნისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 350. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 350 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, ნათია ოზბეთელაშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს; მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (საბაზო და საშუალო საფეხურის

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო - მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულების შენობა იყო კეთილმოწყობილი , ჰქონდა ყველა საგანმანათლებლო სერვისის განხორციელებისათვის საჭირო რესურსები, სკოლის ეზო იყო რეკრეაციული და ჰქონდა სივრცე ღია გაკვეთილებისთვის.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ სკოლამდელი განათლებისთვის სკოლას უსასყიდლოდ დათმობილი ჰქონდა სივრცე, სადაც დღეში რამდენიმე საათით იმყოფებოდნენ სკოლამდელი განათლების ბავშვები და ეძლეოდათ სკოლასთან დაახლოებისა და სასკოლო მზაობის ჩამოყალიბების შესაძლებლობა.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნიდან გამომდინარე, რომელშიც ასახული იყო, რომ მოსწავლეთა შესვლასა და გასვლას არეგულირებდა მანდატური, დაინტერესდა, ჰყავდა თუ არა სკოლას დარაჯი.
სკოლის დირექტორმა, ეკატერინე კოზაკიშვილმა განმარტა, რომ სკოლას ჰყავდა დარაჯი, მანდატურის სამსახურის წარმომადგენელი კი დღის განმავლობაში აკონტროლებდა ვიზიტორთა შემოსვლას და ატყობინებდა სკოლის დირექტორის მოადგილეს. აქვე, სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემულ რჩევებსა და რეკომენდაციებზე დაწყებული ჰქონდათ მუშაობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქალაქ წნორის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 350- ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:46
დასრულების დრო - 15:53

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქალაქ წნორის N3 საჯარო სკოლას (ს/კ: 240413165) 9 წლის ვადით მიენიჭოს

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 350 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	სიღნაღის მუნიციპალიტეტი, ქალაქი წნორი, რუსთაველის ქუჩა N10
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	სიღნაღის მუნიციპალიტეტი, ქალაქი წნორი, რუსთაველის ქუჩა N10
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	სიღნაღის მუნიციპალიტეტი, ქალაქი წნორი, რუსთაველის ქუჩა N10

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის სექტემბერში 3.1, 3.4 და 3.5 კომპონენტებთან მიმართებით, სკოლის ექიმის დასაქმების, სამედიცინო კაბინეტის მოწყობისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის არსებობის, ხოლო 2027 წლის სექტემბერში, ადაპტირებული გარემოს მოწყობისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

6. სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, სოფიო ტარასაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 09 და 10 ივნისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების

დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 600. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 600 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, სოფიო ტარასაშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო - მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ სკოლა მონაწილეობდა ჰამბურგში გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინიციატივაში „სკოლები მომავალი პარტნიორები“, მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს ბრემენის საერთაშორისო ეკოლოგიურ კონფერენციაში და ამ ღონისძიებებში ჩართულობისა და მონაწილეობის შემდგომ, სკოლა საკუთარ პრაქტიკაში ნერგვადა საუკეთესო გამოცდილებას. მისი თქმით, სკოლაში მიღებული განათლებით არა ერთი წარჩინებული კურსდამთავრებული აგრძელებდა სწავლას უცხოეთის პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლებში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 600 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 16:06
დასრულების დრო - 16:12

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლას (ს/კ: 220373762) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული

რაოდენობა განესაზღვროს 600 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფელი კახათი, აღმაშენებლის ქუჩა №84
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფელი კახათი, აღმაშენებლის ქუჩა №84
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფელი კახათი, აღმაშენებლის ქუჩა №84

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2027 წლის სექტემბერში 3.5 კომპონენტთან მიმართებით, შენობის ადაპტირების, ვიდეო-სამეთვალყურეო კამერების მონტაჟისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

7. სსიპ - ქალაქ გორის N12 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თეა ელერდაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ გორის N12 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 19 და 20 ივნისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 1069. აქვე, ექსპერტმა

განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 1069 მოსწავლისთვის.აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის 1069-ით განსაზღვრას ეთანხმებოდა მხოლოდ ორი ცვლის პირობებში.
ექსპერტმა, თეა ელერდაშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო - მასალა და აღნიშნა, რომ შენობა იყო ახალრეაბილიტირებული და შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, დავით მალაზონიამ, აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები იყო საკმაოდ გამართული და კარგად შედგენილი. მისი თქმით, მისასალმებელი იყო, რომ სკოლა ამ საკითხს უდგებოდა მსგავსი პასუხისმგებლობით. თუმცა, დავით მალაზონიას თქმით, უმჯობესი იქნებოდა, რომ დავალებების იდეა გამოკვეთილიყო უფრო მკაფიოდ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ გორის N12 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1069- ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 16:23
დასრულების დრო - 16:28

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ გორის N12 საჯარო სკოლას (ს/კ: 218016769) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1069 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი გორი, ნინოშვილის ქუჩა N54
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი გორი, ნინოშვილის ქუჩა N54
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი გორი, ნინოშვილის ქუჩა N54

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის სექტემბერში 3.4 კომპონენტთან მიმართებით, შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნის, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შესაბამის სამსახურთან შეთანხმებისა და ლიფტის ფუნქციონირების დამადასტურებელი დოკუმენტაციის, ხოლო 2027 წლის სექტემბერში შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

8. სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შუა ქვალონის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნინო ელბაქიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შუა ქვალონის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 26 და 27 ივნისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 120. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა

ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 120 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, ნინო ელბაქიძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ სკოლაში ტარდებოდა სხვადასხვა პროექტი და შემოქმედებითი ღონისძიება, რაშიც სასკოლო საზოგადოებასთან ერთად აქტიურად იყო ჩართული სასკოლო თემი.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო - მასალა და აღნიშნა, რომ შენობა იყო ახლადრეაბილიტირებული და კეთილმოწყობილი.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია დაინტერესდა, ჰყავდა თუ არა სკოლას ექიმი.
სკოლის დირექტორის, ინგა ხვიჩიას თქმით, გამოცხადებული ჰქონდათ ვაკანსია, იყო დაინტერესებული ექიმის კანდიდატი და გეგმავდნენ მასთან გასაუბრებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შუა ქვალონის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 120- ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 16:42
დასრულების დრო - 16:45

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შუა ქვალონის საჯარო სკოლას (ს/კ: 244556976) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 120 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის	ზოგადსაგანმ ანათლებლო	ზოგადსაგანმა ნათლებლო	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების

	სახელწოდება	პროგრამის საფეხური	პროგრამის განხორციელების ენა	ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ხობის მუნიციპალიტეტი, სოფელი შუა ქვალონი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ხობის მუნიციპალიტეტი, სოფელი შუა ქვალონი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ხობის მუნიციპალიტეტი, სოფელი შუა ქვალონი

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2025 წლის დეკემბერში 3.1 კომპონენტთან მიმართებით, ექიმის დასაქმების ამსახველი დოკუმენტაციის, ხოლო 2027 წლის სექტემბერში შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 16:50 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბერიკაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
წიფურია ეკატერინე